საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ივრის ზეგანი

ივრის ზეგანი, გ ა რ ე კ ა ხ ე თ ი ს ზეგან ი, მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, მდინარეებს – მტკვარსა და ალაზანს შორის. გადაჭიმულია 170 კმ-ზე თბილისის მიდამოებიდან ალაზნის ქვემო დინებამდე, გარდაბნის, საგარეჯოს, სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში. სიგანე 60 კმ, სიმაღლე ზ. დ. 80-იდან 1000 მ-მდე.

აგებულია ძირითადად სუსტად დანაოჭებული კაინოზოური ქვიშაქვებით, კონგლომერატებით, თიხებითა და კირქვებით. რელიეფი ვაკე-ბორცვიანია – მოიცავს ვაკე-ტაფობებს, ბორცვებს, დაბალ სერებს და მთებს. მნიშვნელოვანი ვაკეებია: შირაქის ვაკე და ტარიბანა. ვაკეები წარმოქმნილია მეოთხეულ პერიოდში ფხვიერი ნაფენების მიერ სინკლინების ამოვსებით. საშ. სიმაღლის მთებია: ნიკორაციხე (1001 მ), დემურდაღი (991 მ), ნატახტარი (966 მ), დიდი უდაბნო (905 მ), გარეჯის უდაბნო (879 მ), ზილჩა (846 მ).

ი. ზ-ზე არის ბედლენდები, ტალახიანი ვულკანები, ხელოვნური გამოქვაბულები.

ჰავა მშრალი სუბტროპიკულია. იანვ. საშ. ტემპ-რა 0-იდან –2°C-მდეა, ივლ. 23–24°C. ნალექები 400–600 მმ წელიწადში.

მთავარი მდინარეა იორი. არის მარილიანი ტბები – ყაჯირი, მუხროვანი, ქოჩები, აზამბურის ტბათა ჯგუფი.

გავრცელებულია შავმიწა, წაბლა, ყავისფერი, მურა და მლაშობბიცობიანი ნიადაგები; ეროიანი, ჭანგიანი, ვაციწვერიანი, ნაირბალახოვანი, ნაირბალახოვან-მარცვლოვანი

სტეპის მცენარეულობა, აგრეთვე ჯაგეკლიანი (უმეტესად ძეძვიანი და ღვიიანი) ბუჩქნარი. ზეგნის სამხრ. ნაწილში არიდული ნათელი ტყეებია. ივრის ხეობაში ფრაგმენტებადაა ჭალის ტყეები (ტუგაის ტყეები).

ზეგანზე გვხვდებიან ფაუნის ისეთი წარმომადგენლები, როგორებიც არიან ქურციკი, დურაჯი, ხოხობი და სხვ., რ-ებიც სადღეისოდ თითქმის განადგურებულია. მრავლადაა მღრღნელები და ქვეწარმავლები. ი. ზ-ის ბუნებრივი ლანდშაფტი გარდაქმნილია ადამიანის ზეგავლენით, ატარებს უმეტესად სტეპურ, ტყესტეპურ, არიდული ტყისა და ნახევარუდაბნოს ხასიათს.

ფაუნისა და ფლორის დასაცავად შექმნილია ვაშლოვნის სახელმწიფო ნაკრძალი.

ლ. მარუაშვილი